განკარგულება:**g-17. 17232683**
თარიღი:**25/09/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ს დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბორჯომის ,კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ს დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა #60ა)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი.

პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

სუბსიდიის დაფინანსება 847 968

დაზუსტებული 1 007 078

სუბსიდიიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 609 043,75

ხელფასი (+შტატგარეშე და ბიულეტინის სახით) 440 162,11

მივლინება 4 170

კომუნალური გადასახადები (დენი,გაზი,წყალი) 71 878,86

დასუფთავების მოსაკრებელი 1 112

კავშირგაბმულობის ხარჯი (ინტერნეტი) 2 498,99

კულტურული ღონისძიების ორგანიზება (ბეჭდვითი მომსახურება, სპეკტაკლების წარმოდგენა) 15 581,30

ტრანსპორტის მომსახურება 7 150

შეძენილია უნიფორმები 9 540
(ანსამბლი ,,ბორჯომი'' შარვალ კოსტუმი 4560ლ; გარდერობის განახლება 3400ლ; ანსამბლი ,,ნენანა'' ყაბალახები 1050ლ; სახალხო თეატრის მსახიობის კაბა და ფრაკი 530ლ.)

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი (ოფისისთვის საჭირო საკანცელარიო, სამეურნეო/ჰიგიენური საქონლის, ავეჯი (საოფისე მაგიდა და სკამები), საწვავის და სხვადასხვა მომსახურების გაწევის ხარჯი) 15 308,29

მოსწავლე ახალგაზ.სახლისთვის შეძენილი სხვადასხვა სამუშაო მასალები 3 070,80

არაფინანსური აქტივი 38 571,40

საჭიროებიდან გამომდინარე 2023 წელს შეძენილ იქნა :

1. დინამიკები კ/ ცენტრისთვის 2010 ლარი.
2. ავეჯი (საკონფერენციო მაგიდა,კარადა და ტუმბო) 1050 ლარი.
3. წაღვერის კ/სახლისთვის გარდერობის ოთახის მოწყობა 2200 ლარი.
4. ტენდერი წაღვერის კ/სახლის სცენის ფარდების შეძენა მონტაჟი 33 311,40

დაზუსტებული გეგმა ფაქტიური შესრულებით (პროცენტულად) 60,5 %

2023 წლის **საკუთარმა შემოსავალმა** შეადგინა 98 536,40

მთლიანი ხარჯი 93 469,35

ხელფასის სახით გაცემულია 56 760,70

ღონისძიების ხარჯი (ბეჭდვითი მომსახურება, სპეკტაკლები და სატრანსპორტო მომსახურება) 21 123,20

საოფისე (სამეურნეო,საკანცელარიო) და არაფინანსური ხარჯი 15 585,45

ა(ა)იპ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)იპ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია კულტურის ცენტრი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, წაღვერის საქალაქო კულტურის სახლი და სასოფლო კლუბები. ცენტრთან ფუნქციონირებს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი ,,ბორჯომი'' , სახალხო თეატრი, გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი ,,ნენანა'', მგალობელ- მომღერალთა გუნდი ,,მზეშინა" და ,,სამხატვრო სტუდია''.

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლსა და წაღვერის საქალაქო კულტურის სახლში და სასოფლო კლუბებში აქტიურად ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:

ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრეები, თანამედროვე ცეკვების შემსწავლელი წრე, ვოკალური სტუდია, ხალხური საკრავების შემსწავლელი წრე, ხეზე კვეთა, გობელინი, ხელნაკეთი თოჯინების შემსწავლელი წრე, ტიხრული მინანქარი, ხატვის წრე, გრაფიკა და ფერწერა.

2023 წელს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები:

2,3,4,5,6,8 იანვარს ცენტრთან არსებული სახალხო თეატრის მიერ წარმოდგენილ იქნა საახალწლო ზღაპარი,, ფიფქია და ერთი ჯუჯა''. (ბიუჯეტი 5758 ლარი, დეკორაცია, კოსტიუმები , საახალწლო საჩუქრები)

იანვრის თვეში წაღვერის საქალაქო კულტურის სახლთან არსებული ანსამბლების მონაწილეობით ჩატარდა საახალწლო კონცერტი.

მარტის თვეში დედის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლების მონაწილეობით.საგაზაფხულო კონცერტი ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, ცენტრთან არსებული ანსამბლების მონაწილეობით.

ასევე 9 აპრილს მემორიალთან გაიმართა ღონისძიება კულტურის ცენტრის ორგანიზებით. 18 მაისს აღინიშნა ეროვნული სამოსის დღე, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება სადაც მონაწილოეობა მიიღეს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტთან არსებულმა ანსამბლებმა და ასევე ანსამბლმა ,,მერმისმა''. ბიუჯეტი 3510 ლარი.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა საბავშვო ანსამბლებმა მონაწილეობა მიიღეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში.

წაღვერის საქალაქო კულტურის სახლში სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა საანგარიშო კონცერტი, წაღვერის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ანსამბლების მონაწილეობით.
 ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეების შემაჯამებელი კონცერტი გაიმართა.
ასევე ჩატარდა საანგარიშო კონცერტი , კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული საბავშვო ანსამბლების მონაწილეობით.

ივლისის თვეში ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ანსამბლ ,,იმედი''-ს სოლო კონცერტი.
აგვისტოს თვეში ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ფერხისი''-ს სოლო კონცერტი გაიმართა.

15 აგვისტოს წაღვერის საქალაქო კულტურის სახლში გაიმართა სოფო ბედიას სოლო კონცერტი, სადაც ასევე მონაწილეობას იღებდა ანსამბლი ,,სამეფო''.
ზაფხულის პერიოდში ჩატარდა ღონისძიებები კოსტავას ბაღში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით , კულტურის სახლის თანამშრომელთა ჩართულობით ,სასცენო აპარატურის და განათების ტექნიკური მომსახურებით.

ცენტრთან არსებული ანსამბლები აქტურად იღებენ მონაწილეობას როგორც საქართველოს მასშტაბით დაგეგმილ ისე საეთაშორისო ფესტივალებზე:
თებერვლის თვეში წაღვერის საქალაქო კულტურის სახლთან არსებული საბავშვო თეატრი ,,ვოდევილები'' იმყოფებოდნენ იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ფესტივალზე ხონის კულტურის სახლში, სპექტაკლით ,,ბოშები''.
მარტის თვეში ანსამბლი,,მზეშინა''იმყოფებოდა ასპინძის რაიონ სოფელ ,,საროში'' სადაც გადაიღეს კლიპი.
აპრილის თვეში ანსამბლი ,,სამეფო''გაემგზავრა თურქეთის რესპუბლიკაში ფესტივალზე ,,მზიანი საქართველო'',სადაც დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით.
ასევე აპრილის თვეში ანსამბლი ,,ბორჯომი''მიწვეულია ქ. ბაღდადში ნოდარ ფულარიანის საიუბილეო კონცერტზე.
ივლისის თვეში ანსამბლი ,,ბორჯომი'' მიწვეულია ქ. ზუგდიდში სახალხო დღესასწაულზე ,,ვლაქერნობა'', ფოლკლორის მესამე საერთაშორისო ფესტივალზე ,,კოლხი და...'' ,პროექტი დაფინანსდა კულტურის სამინისტროს მიერ.
ივლისის თვეში ანსამბლები ,,ნენანა'' და ,,მზეშინა ''იმყოფებოდნენ ფოლკლორულ ფესტივალზე ,,არტგენი 2023''.
21 აგვისტოს კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი ,,ონავრები''გაემგზავრნენ ბულგარეთში ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად, სადაც მიიღეს უმაღლესი შეფასება ,,გრანპრი''.
22 აგვისტოს ლიანა ისაკაძის საერთაშორისო ფესტივალზე ,,ღამის სერენადები'' მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა ,,ბორჯომმა''.
21 აგვისტოს კულტურის ცენტრთან არსებული თანამედროვე სპორთული ცეკვების

ჯგუფი ,,სილუეტი'' გაემგზავრა ბულგარეთში ბავშვთა საერთაშორისო კონკურსზე ,,სლავიანსკი ვენეც'',საიდანაც დაბრუნდნენ მეორე საპრიზო ადგილით.
19 სექტემბერს ანსამბლი ,,ბორჯომი'' მიწვეულია ქ. ახალციხეში ფოლკლორის ცენტრის ორგანზებით დაგეგმილ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე.

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული სახალხო თეატრი აქტიურად მუშაობს . 2023 წლის ივლისის თვეში შედგა სპექტაკლის ,,(არა ჩვეულებრივი კომედია '' პრემიერა, რომელმაც ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა ბორჯომელი მაყურებლის მხრიდან. ასევე წაღვერის საქალაქო კულტურის სახლთან არსებული თეატრ სტუდია ,,ვოდევილი''-ს მიერ ივლისის თვეში წარმოდგენილ იქნა სპექტაკლი ,,დაცემული ანგელოზი'', ასევე თეატრ სტუდია ვოდევილის მიერ სექტემბრის თვეში წარმოდგენილ იქნა სპექტაკლი ,,ჩრდილი''. მიუხედვათ სახალხო თეატრის აქტიური მუშაობისა კულტურის ცენტრი თანამშრომლობს რეგიონის თეატრებთან:
მარტის თვეში მოწვეული იყო მესხეთიშ თეატრი სპექტაკლით ,,მათრობს და მხიბლავს''.
ივნისისა და ივლისის თვეში მოწვეული იყო მესხეთის სახელმწიფო პროფესიული თეატრი სპექტაკლით ,,ვოდევილები''.
ასევე მესხეთის თეატრმა წაღვერის საქალაქო კულტურის სახლში წარმოადგინა სპექტაკლი,,ვოდევილები''.

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან ფუნქციონირებს 10 სასოფლო კლუბი. კლუბების უმრავლესობას ესაჭიროება რეაბილიტაცია. კლუბებში არსებული პირობების მიუხედავათ შეძლებისდაგვარათ ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები : ჭობისხევის კლუბში ცეკვის წრე, გიტარის შემსწავლელი წრე, ფანდურის შემსწავლელი წრე, საესტრადო სიმღერების შემსწავლელი წრე. დვირის კლუბში ცეკვის წრე და ლიტერატურული სტუდია ასევე ხალხური საკრავები. ქვაბისხევის კლუბში ცეკვის წრე, დრამატული წრე, მხატვრული კითხვის შემსწავლელი წრე, სიმღერის შემსწავლელი წრე.ტაძრისის კლუბში ცეკვის წრე, ხალხური საკრავების შემსწავლელი წრე, სიმღერის შემსწავლელი წრე.
დვირის სასოფლო კლუბში , ქვაბისხევსა და ტაძრისში ჩატარდა საჩვენებელი ღონისძიებები ივლისის თვეში.
აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ მიმდინარე წელს საკმაოდ გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა. სულ კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ირიცხება 600 მდე მოსწავლე.

2023 წელს 93 საშტატო ერთეულზე მუშაობს 93 თანამშრომელი და ასევე 9 თანამშრომელი შტატგარეშე ხელშეკრულებით.